მიაქციეთ ყურადღება!
ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც მოქმედებდა ოპრაციის მოხდნის მომენტში

ამოცანა # 3 დამატებული ღირებულების გადასახადი

შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო"** - ახორციელებს სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2017 წლის 1 მარტიდან, საიდენტიფიკაციო კოდი #404500328, იურიდიული მისამართი - თბილისი, ბაქრაძის ქ. # 8. 2019 წლის 15 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

202X წლის აპრილში საწარმოს განხორციელებული აქვს შემდეგი სახის ოპერაციები:

1. მაგალითები დეკლარაციის 1 და მე-2 უჯრის შევსებისთვოს

1.1. აპრილის თვეში საზოგადოებამ (მეიჯარე) გააფორმა ბულდოზერი "KOMATSU D65"-ს საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ ბულდოზერი გადადის მოიჯარეს საკუთრებაში. აქტივის დისკონტირებული ღირებულება ხელშეკრულების დასაწყისში შეადგენს **100 000** ლარს (დღგ-ის გარეშე), სალიზინგო პერიოდი უდრის 50 თვეს და ყოველთვიური ცვეთა **2 000** ლარს. წლიური საპროცენტო სარგებელი უდრის 20%-ს.
ხელშეკრულების თანახმად 15 თებერვალს მოიჯარემ გადაიხადა წინასწარი გადასახადი (ავანსი) **20 000** ლარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით მეიჯარის საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე.**

1.2. 1 აპრილს საზოგადოებამ (მეიჯარე) გააფორმა 200 კვ. მ. საწყობის ფართის 5 წლიანი საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად აპრილის და მაისის თვეები განსაზღვრულია მოიჯარის სახსრებით სარემონტო და მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებისათვის. იჯარის ვადის ათვლა დაიწყება 202X წლის 1 ივნისიდან. ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს **1000** ლარს (დღგ-ის ჩათვლით), ხოლო აპრილის და მაისის თვეებში **200** ლარს დღგ-ის ჩათვლით. 15 აპრილს მოიჯარემ წინასწარ გადაიხადა საიჯარო ქირა **20 000** ლარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე.**

1.3 28 მარტს საზოგადოებამ შეიძინა 100 ცალი გასაღების ბეჭდები (ბრელოკები), სულ **500** ლარის (დღგ-ის ჩათვლით) და იმავე თვეში განახორციელა დღგ-ის ჩათვლა. აპრილის თვეში შეძენის ფასად 50 ცალი ბრელოკი საჩუქრის სახით გადაეცა მყიდველ ფიზიკურ პირებს, ხოლო 50 ცალი დაქირავებით მომუშავე პირებს

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე.**

1.4 2022 წლის 20 აპრილს საზოგადოებამ შეიძინა 50 ცალი სააღდგომო ნამცხვარი (პასკა), სულ **500 ლარის** (დღგ-ის ჩათვლით), დღგ-ს ჩათვლა საზოგადოებას არ განუხორციელებია. იმავე დღეს

უსასყიდლოდ 20 ცალი პასკა დაურიგდა დაბალი შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირებს, ხოლო 30 ცალი დაქირავებით მომუშავე პირებს.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე.**

1.5 23 აპრილს საზოგადოებამ განახორციელა 30 მგზავრის ტრანსპორტირება თურქეთის გავლით თბილისიდან ათენში. მგზავრობის ღირებულება 1 მგზავრზე შეადგენს **140** ლარს (ეკვივალენტი $) სახმელეთო მანძილი პუნქტებს შორის შეადგენს 2900 კმ., აქედან საქართველის ტერიტორიაზე 380 კმ.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.**

1.6. საქართველოს სატრანსპორტო კომპანია „**City Bus Georjia**" და ირანის სატრანსპორტო კომპანია „**Tehran to Kashan Bus**" მინივენებით ერთობლივად ახორციელებენ ჩარტერულ მგზავრთა გადაყვანას მარშრუტით თბილისი-თეირანი. ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კომპანიის ვალდებულებაა საქართველოში მოზიდოს მგზავრები, მიიყვანოს ისინი ორთაჭალის სადგურიდან სადახლოში, სომხეთის საზღვრამდე, სადაც მგზავრები ფეხით კვეთავენ საზღვარს და გადადიან სომხეთის ტერიტორიაზე. ირანის კომპანიას თავის მინივენით მგზავრები შემდგომში გადაჰყავს საქართველო-სომხეთის საზღვრიდან თეირანში.

თბილისიდან თეირანამდე საერთო მანძილია 1 500 კმ., აქედან თბილისიდან სადახლომდე 75 კმ.

თბილისიდან თეირანამდე მგზავრობის ღირებულება შეადგენს სულ 75 €., რომელიც პროპორციულად ნაწილდება პარტნიორების შორის განვლილი მანძილის მიხედვით. თბილისიდან სადახლომდე ტრანსპორტირების საფასურს მგზავრები იხდიან ორთაჭალის ავტოსადგურზე, ხოლო საქართველო-სამხეთის საზღვრიდან თეირანამდე სომხეთის ტერიტორიაზე მინივენში ჩასხდომისას (ანაზღაურება ხორციელდება კომპანიების ეროვნულ ვალუტაში, 1 € კურსი საქართველოს შემთხვევაში უდრის 2,8 ₾, ირანის შემთხვევაში 42 610 ირანის რიალი).

აპრილის თვეში კომპანიები გადაიყვანეს თბილისიდან თეირანში 100 კაცი.

განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.

1.7 2020 წლის იანვრის თვეში საზოგადოებამ **12 000** ლარად შეიძინა სპორტული ინვენტარი, იჯარით აღებული ფართზე ფიტნეს კლუბის გახსნისთვის, და იმავე იანვრის თვეში განახორციელა დღგ-ის ჩათვლა. იმის გამო, რომ იჯარის ხელშეკრულება იყო დარღვეული სპორტული ინვენტარი აღმოჩნდა ზედმეტი და მიღებული იყო გადაწყვეტილება მისი საქველმოქმედო მიზნად გამოყენებისთვის. 200X წლის 8 აპრილს საზოგადოებამ უსასყიდლოდ გადასცა **15 000** ლარის საბაზრო ღირებულების სპორტული ინვენტარი ობოლ ბავშთა სახლს.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.**

1.8 25 აპრილს საზოგადოებამ ნიმუშის სახით უსასყიდლოდ გადასცა ექსპო ჯორჯიას საგამოფენო დარბაზში ჩატარებულ გამოფენას **5 000** ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქართველოში წარმოებული ქართული ღვინო.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

1.9 1 აპრილის მდგომარეობით ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციით გამოვლინდა საბაზრო ღირებულებით საქონლის დანაკლისი **25 000** ლარის ხოლო ზედმეტობა **17 000** ლარის ოდენობით.

➢ **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

1.10 28 აპრილს საზოგადოებამ მიიღო ავანსი:

- ს/ს „ამწე"-სგან **25 000** ლარის ოდენობით. თანხა გადახდილია მაისი-ივნისში მისაწოდებელი სამშენებლო მასალებისათვის.
- ს/ს „ასფარმა"-ს მუდმივი წარმომადგენლობისგან **10 000** ლარი საქართველოში მაისი-ივლისში მისაწოდებელი სამშენებლო მასალებისათვის.
- უცხოური კომპანია „Gruzlek LTD"-სგან **20 000** ლარის ოდენობით (ექვივალენტი €). თანხა გადახდილია მაისი-ივლისში სამედიცინო პრეპარატების საზღვარგარეთ მიწოდებისათვის.

➢ **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

1.11 **20** აპრილს საზოგადოებამ თავის სარემონტო ბაზაზე ქ. ქუთაისში განახორციელა აზერბაიჯანის ფირმა „ჰუსეინ ოღლი"-ს ავარიაში დაზიანებული სატვირთო ავტომობილის რემონტი. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 10 000 აზერბაიჯანოს მანატს. ოპერაციის მოხდენის მომენტისათვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი უდრიდა 1,7-ს.

➢ **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

1.12 2 აპრილს საზოგადოებამ სერია ეა-02 #0116788 დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურით განახორციელა საკუთარი წარმოების, 1.5 ლიტრის ბოთლში ჩამოსხმული 5 000 ცალი 4,9%-იანი (2203 00 კოდის) ლუდის „ღამის სერენადა" საბითუმო მიწოდება. ერთი ბოთლის ღირებულება აქციზისა და დღგ-ის გარეშე შეადგენს 4 ლარს.

შენიშვნა: საქართველოს საგადასახადო კოდექსით ამ საქონელზე აქციზის განაკვეთი 1 ლიტრი/1%Vol უდრის 0.12 ლარს.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხა, აქციზის და დღგ-ის სიდიდე.**

1.13 საზოგადოებას აპრილის თვეში საცალო ქსელში (სუპერმარკეტში) საკონტროლო-სალარო აპარატების ჩეკების მიხედვით ფიქსირდება 167,000 ლარის რეალიზაცია. ამ თანხიდან 50 000 ლარი მოდის წიგნების (სეს ესნ 4901, 4903 00 000 000 კოდები), ხოლო 17,000 ლარი გაზეთების და ნოტების (სეს ესნ 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდები), დანარჩენი თანხა კი საკანცელარიო ნივთების რეალიზაციაზე.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხა და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

1.14 საწარმომ ახლად დარეგისტრირებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეიტანა 20 000 ლარის ღირებულების სატვირთო ავტომანქანა და 10 000 ლარის ღირებულების წვრილმანი ინვენტარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხა და დასარიცხი დღგ-ს თანხა**

მაგალითები დეკლარაციის მე-3 უჯრის შევსებისათვის

3.1 აპრილში საზოგადოებამ განახორციელა 10 000 კგ. შაქრის მიწოდება თიზ-ის საწარმოსთვის. ხელშეკრულების თანახმად 1 კგ. შაქრის ღირებულება შეადგენს 1,30 ლარს, რაზეც გამოიწერა შესაბამისი დოკუმენტები.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხა.**

3.2 15 აპრილს საზოგადოებამ სასაქონლო ზედნადებით აზერბაიჯანის საელჩოს მიაწოდა შეძენილი 50 ბოთლი ქართული ღვინო „ბაგრატიონი“ და 12 ბოთლი სომხური კონიაკი „EREBUNI”, ხოლო 20 აპრილს საელჩოს თანამშრომლების ოჯახის წევრებს (სააკრედიტაციო ბარათის საფუძველზე) საცალო რეალიზაციის სახით საწარმოში წარმოებული 30 ბოთლი არაყი „პრესტიჟ ექსტრა“.

შენიშვნა: 1 ბოთლის საქონლის ღირებულება (დღგ-ის გარეშე) შეადგენს: ღვინო 10 ლარი, კონიაკი 150 ლარი და არაყი 50 ლარი.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციების სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხა**

3.3 10 აპრილს საზოგადოებამ მიიღო 30 000$ ავანსი და 30 აპრილს ექსპორტის რეჟიმით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიაწოდა 10 000 ბოთლი ქართული ღვინო „საფერავი“. საქონელი მყიდველს იმპორტის რეჟიმით განბაჟებული აქვს ჩინეთში 30 მაისს. საქონელი მიწოდებულია EXW პირობით. ინვოისის თანახმად ერთი ბოთლის ღირებულება შეადგენს 5$. ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა გაფორმების და ადგილამდე მიტანის ხარჯს, რომლების საერთო ღირებულება შეადგენს 10 000$ ფარავს მყიდველი. ავანსის მიღების მომენტისათვის კურსი $/₾ უდრიდა 3.1, საქონლის გადაცემისას 3.0, ჩინეთში განბაჟებისას 3.2.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციების სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხა**

3.4 საზოგადოებამ 15 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციას (UNIDO) შეუსრულა ოფისის სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 25 000 ლარს. სამუშაოები შესრულებულია საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებათა კომისიას შორის 2007 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციების სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხა**

3.5 ასევე 15 აპრილს საზოგადოებამ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ოფისის წინ განლაგებული მიწის ნაკვეთზე 200 კვ.მ მანქანების გაჩერების ასფალტდაგებული ადგილი. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5 000 ლარს.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციების სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხა**

მაგალითები დეკლარაციის მე-4 უჯრის შევსებისათვის

4.1 25 აპრილს საზოგადოებამ საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირის დაკვეთით დაასრულა და ჩააბარა ყირგიზეთში ტბა ისიკ-კულთან მდებარე მიწის ნაკვეთზე დასასვენებელი კოტეჯის საპროექტო სამუშაოები. სამუშაოს ღირებულება შეადგენს **1 000,000** ყირგიზულ სომს. 100 ყირგიზული სომის ლარის მიმართ გაცვლის ოფიციალური კურსი უდრის 3.600.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა**

4.2 25 აპრილს საზოგადოებამ ირანის რეზიდენტი ფიზიკური პირის დაკვეთით დაასრულა და ჩააბარა საქართველოში დაბა შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთზე კოტეჯის სამშენებლო სამუშაოები. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 75 000 ლარს.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა**

4.3 20 აპრილს საზოგადოებამ თავის სარემონტო ბაზაზე ქ. ქუთაისში განახორციელა აზერბაიჯანის ფირმა „ჰუსეინ ოღლი“-ს ავარიაში დაზიანებული სატვირთო ავტომობილის რემონტი. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 10 000 აზერბაიჯანის მანატს. ოპერაციის მოხდენის მომენტისათვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი უდრიდა 1,7-ს.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა**

მაგალითები დეკლარაციის მე-5 უჯრის შევსებისათვის

5.1 საზოგადოების ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს აკრედიტირებული კერძო საგანმანათლებლო საქმიანობა. ამისათვის საზოგადოებას ქ. ზესტაფონში გახსნილი აქვს სასწავლო ცენტრი, სადაც ამზადებენ სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს.
საგანმანათლებლო საქმიანობიდან აპრილის თვეში მიღებული შემოსავალი შეადგენს **15 000** ლარს, მოსწავლეების სწავლის ადგილამდე ყოველდღიური სატრანსპორტო ხარჯი შეადგინა - **1 000** ლარი, სასწავლებელში მოსწავლეთა ორჯერადი კვების ხარჯი კი - **4 000** ლარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე**

5.2 საზოგადოების ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო და სარესტავრაციო, სამუშაოების შესრულება.

ამ საქმიანობიდან აპრილის თვეში მიღებული შემოსავალი შეადგენს სულ **50,000** ლარს, მათ შორის საპროექტო სამუშაოები **20 000** ლარი, სარესტავრაციო სამუშაოები **30 000** ლარი, რაზეც გამოიწერა შესაბამისი დოკუმენტები.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე**

5.3 30 აპრილს საზოგადოების ანგარიშზე ჩაერიცხა **15 000** ლარი ბანკში დეპოზიტზე განთავსებული თანხის თვიური პროცენტის თანხა.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე**

5.4 15 აპრილს საზოგადოებამ **50 000** ლარად ფიზიკურ პირზე გაასხვისა სოფელ მანავის ახლობლად მდებარე 5 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთი **30 000** ლარად შეძენილია 2020 წლის 1 ივნისს საქართველის იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ელექტრონულად ჩატარებულ აუქციონზე www.eauction.ge.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე**

მაგალითები დეკლარაციის მე-6 და მე-7 უჯრის (დასაბეგრი ბრუნვის კორექტირება) შევსებისათვის

6.1 202X წლის 28 მარტში საზოგადოებამ მიაწოდა მყიდველს მარნეულის ქარხნის წარმოების 500 ქილა დაკონსერვერებული 10 სმ. ზომის კიტრი, ერთი ქილის ფასი (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს 3 ლარს. აპრილის თვეში გაირკვა, რომ ფაქტიურად მიწოდებულია 500 ქილა „პიკული“-ს ჯიშის დაკონსერვერებული კიტრი, რომლის გასაყიდი ღირებულებაა 4 ლარი (დღგ-ის ჩათვლით), რაზეც გამოიწერა კორექტირების დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა.

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით დასარიცხი დღგ-ის კორექტირების (გაზრდის) თანხა**

7.1 202X წლის 15 იანვარს საზოგადოებამ ფიზიკურ პირს საცალო რეალიზაციის წესით 20 თვიანი განვადებით მიაწოდა "Toshiba"-ს ფირმის ორკამერიანი 3000 ლარის ღირებულების (დღგ-ის ჩათვლით) მაცივარი. ოპერაცია დაიბეგრა და აისახა იანვრის თვის დეკლარაციაში. აპრილის თვეში გაირკვა, რომ მაცივარს გააჩნია ქარხნის წუნი, რომლის გასწორება შეუძლებელია საგარანტიო მომსახურების ფარგლებში და მაცივარი დაუბრუნდა გამყიდველს. მაცივრის დაბრუნების ოპერაცია აისახა აპრილის თვის დეკლარაციის „ბ“ დანართის მე-YIII ნაწილში (მე-10 ფანჯარაში).

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით დასარიცხი დღგ-ის კორექტირების (შემცირების) თანხა**

7.2 202X წლის 28 მარტში საზოგადოებამ მიაწოდა მყიდველს 20 000 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დაკონსერვერებული და 5 000 ლარის ადგილობრივი წარმოების შუშა კიტრი, სულ 25 000 ლარი. აპრილში დადგინდა, რომ მიწოდებული საქონლის ნაწილს აღმოაჩნდა წუნი და მხარეთა შეთანხმებით, 202X წლის 12 აპრილს შეძენის ფასად 4 000 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) კონსერვირებული და 1 000 ლარის შუშა კიტრი დაუბრუნდა კომპანიას, რაზეც მის მიერ გამოიწერა დღგ-ის კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით დასარიცხი დღგ-ის კორექტირების თანხა**

მაგალითები დეკლარაციის მე-8 უჯრის შევსებისათვის

8.1 25 აპრილს საზოგადოებამ გადაურიცხა ინგლისის ფირმა „New technologies LTD"-ს **20 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში) ქართული ჯიშების ყურძნის ჭაჭის და სიმინდის ნედლეულიდან ეთილის

სპირტის გამოხდის ახალი ტექნოლოგიის ავანსი. ხელშეკრულების თანახმად სამუშაოს სრული ღირებულება შეადგენს **30 000** (ეკვივალენტი ევროში) ლარს.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით უკუდაბეგვრის წესით დასარიცხი და ჩასათვლელი დღგ-ის თანხა**

8.2 საზოგადოებას არარეზიდენტი ფიზიკური პირისგან საქართველოში 1 აპრილს 5 თვის ვადით იჯარით აღებული აქვს სამგზავრო ავტობუსი „Scania Irizar". ხელშეკრულების თანახმად ერთი თვის საიჯარო ქირა შეადგენს 2000 €. ხელშეკრულების მიხედვით საიჯარო ქირა ექვემდებარება გადახდას საანგარიშო თვის 25 რიცხვში. 20 აპრილს საზოგადოებამ გადაურიცხა მეიჯარეს 5000 €.

ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში €/₾ კურსი იყო 3.35, 25 აპრილს 3,15, 30 აპრილის 3.10, ხოლო თანხის გადახდის მომენტში 20 აპრილს 3.20.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით უკუდაბეგვრის წესით დასარიცხი და ჩასათვლელი დღგ-ის თანხა**

8.3 2022 წლის აპრილში საზოგადოებამ რუმინულ კომპანიასთან განახორციელა ბარტერული ოპერაცია.კერძოდ:
ა) 10 აპრილს დამკვეთს-რუმინულ კომპანიას, მიღება-ჩაბარების აქტით ჩააბარა ყაზახეთში განხორციელებული რუმინული ბრენდების სარეკლამო პროდუქტის პაკეტი. სამუშაოების საბაზრო ღირებულება შეადგენს 5,000 €.
ბ) სანაცვლოდ 25 აპრილს რუმინულმა კომპანიამ საწარმოს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გაუწია იურიდიული მომსახურება, რომლის ღირებულება აგრეთვე შეადგენს 5 000 €. (ოპერაციების მოხდენის მომენტისათვის €/₾ კურსი იყო 4,0).

➢ **განსაზღვრეთ ოპერაციების მიხედვით დასარიცხი და ჩასათვლელი დღგ-ის თანხა**

8.4 15 აპრილს საწარმომ საბაჟო საწყობში ფიზიკური პირისგან 15000 ლარად (ეკვივალენტი ევროში) შეიძინა „Ford Transit"-ის ფირმის მეორადი მიკროავტობუსი, ხოლო 16 აპრილს 15000 € (ლარის ეკვივალენტი 45 000₾) თიზ-ის საწარმოსგან ჩინური თვითსაცლელი „HOWO USED CHINA". 20 აპრილს იმპორტის რეჟიმში სატრანსპორტო საშუალებების განბაჟებისას საბაჟო დეკლარაციაში მიკროავტობუსის ღირებულება დაფიქსირებული იყო 5000 €, ხოლო თვითსაცვლელის 17 000 €. განმბაჟების მომენტში €/₾ კურსი იყო 3.35.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე**

მაგალითები დეკლარაციის მე-11 უჯრის შევსებისათვის

11.1 17 აპრილს საზოგადოებამ #26831 სასაქონლო დეკლარაციით განახორციელა **40 000** კგ. ახალი კარტოფილის იმპორტი, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა **2,000** დოლარი. საქონელი მიწოდებულია FCA-თბილისი პირობით. არარეზიდენტი სატრანსპორტო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება შეადგენს **750** დოლარს, ხოლო

დაზღვევის ხარჯები **250** დოლარს. (ლარის კურსი დოლარის მიმართ საბაჟო გაფორმების მომენტისათვის უდრის 3.3). საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მიღებული იყო გადაწყვეტილება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ. კორექტირების კოეფიციენტი შეადგინა 1.5.

შენიშვნა: საქონელი იბეგრება 12%-ანი იმპორტის გადასახადით.

➢ **განსაზღვრეთ საქონლის საბაჟო ღირებულება, იმპორტის გადასახადის სიდიდე და დღგ-ის თანხა**

11.2 18 აპრილს საზოგადოებამ #26895 სასაქონლო დეკლარაციით განახორციელა **25 000** კგ. გაციებული ღორის ხორცის (სეს ესნ კოდი 0203) იმპორტი, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა **50,000$**. საქონელი მიწოდებულია FCA-თბილისი პირობით. არარეზიდენტი სატრანსპორტო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება შეადგენს **5,000**$, ხოლო დაზღვევის ხარჯები **1,000**$. (საბაჟო გაფორმების მომენტისათვის $/₾ კურსი უდრის **3**.0**)**. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა, რომ **5 000** კგ. ხორცი წარმოადგენდა გაციებულ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცს (სენ სნ კოდი 0201), რის გამოც მიღებული იყო გადაწყვეტილება საქონლის ამ ნაწილის **საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ. კორექტირების კოეფიციენტი შეადგინა 1,2.**

<u>**შენიშვნა:** საქართველოს საგადასახადო კოდექსით</u> ღორის ხორცი (სეს ესნ კოდი 0203) იბეგრება 5%-ანი, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი (სეს ესნ კოდი 0201) 12%-იანი იმპორტის გადასახადით.

➢ **განსაზღვრეთ საქონლის საბაჟო ღირებულება, იმპორტის გადასახადის სიდიდე და დღგ-ის თანხა.**

11.3. საზოგადოებამ:

ა) 5 თებერვალს შეიძინა **10 000** ლიტრი საკვები ეთილის სპირტი, სპირტის კონცენტრაციით **85** მოც.% (სეს ესნ კოდი 2207) და გადაიხადა **135 700** ლარი (აქციზის და დღგ-ის ჩათვლით);

ბ) შეძენილი სპირტისგან საზოგადოებამ თებერვლის თვეში **3 000** ლიტრი სპირტი გამოიყენა აქციზური საქონლის - **40**%-ანი არყის (სეს ესნ კოდი 2208 60) გამოშვებაზე და ჩამოასხა **0,5** ლიტრის ტევადობის **6 000** ბოთლში;

ვ) **500** ლიტრი ეთილის სპირტი გამოყენებულია არააქციზური საქონლის (საწმენდი საშუალება) გამოშვებაზე;

გ) 25 თებერვალს **4 000** ბოთლი არაყი მიწოდებულია სადისტრუბუციო კომპანიაზე. ერთი ბოთლის მიწოდების ფასი შეადგენს **5** ლარს (აქციზის და დღგ-ის გარეშე);

შენიშვნა:

1. სსკ. თანახმად სეს ესნ 2207 (ეთილის სპირტი) კოდში შემოვალ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **7,5** ლარს (ზომის ერთეული - 1 ლიტრი სუფთა სპირტი).

სსკ. თანახმად სეს ესნ 2208 60 110 00 (არაყი) კოდში შემოვალ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **15** ლარს (ზომის ერთეული - 1 ლიტრი სუფთა სპირტი).

ერთი ბოთლი არყის სარეალიზაციო ფასია **5** ლარი (აქციზის და დღგ-ის გარეშე).

განსაზღვრეთ:

- **სპირტის შეძენის ოპერაციის შედეგად ჩასათვლელი აქციზის და დღგ-ის თანხა (უჯრა 11).**
- **არყის რეალიზაციის შედეგად დასარიცხი აქციზის და დღგ-ის თანხა (უჯრა 1,2).**

11.4 **5** აპრილს საზოგადოებამ შეიძინა **10 000** ლიტრი დიზელის საწვავი. 1 ლიტრი საწვავის ღირებულება სპეც. ანგარიშ-ფაქტურის თანახმად შეადგენს **3.50** ლარს (დღგ-ის ჩათვლით). **6** აპრილს **1 000** ლიტრი საწვავი საქველმოქმედო მიზნით უსასყიდლოდ გადაეცა მცხეთის ბავშთა სახლს.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის სიდიდე.**

11.5 20 აპრილს საზოგადოებამ გადარიცხა შ.პ.ს. „ამწე"-ს **50 000** ლარი. თანხა წარმოადგენს საწარმოს საამქროს შენობის რემონტის ღირებულების ნაწილს (ავანსი), რაზეც შემსრულებლის მიერ გამოიწერა სერია ავ-72 #251536 ანგარიშ-ფაქტურა. ხელშეკრულების თანახმად სარემონტო სამუშაოების დასრულება იგეგმება ივნისის თვეში.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით აპრილში ჩასათვლელი დღგ-ის სიდიდე.**

11.6 ინდ. მეწარმემ, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, ერთი ოპერაციის ფარგლებში საწარმოს მიაწოდა ლუდის ჩამოსხმის საამქრო, რომლის ღირებულება შეადგენს **2 000 000** ლარს. ოპერაციის შესახებ ორივე მხარე აცნობა შემოსავლის სამსახურს.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის სიდიდე.**

11.7 ნოემბრის თვეში საერთო ადმინისტრაციული მიზნებისათვის საწარმოს გაწეული აქვს სხვადასხვა გაუმიჯნავი ხარჯები (საიჯარო ქირა, ელ. ენერგია, გაზი, საწვავი, საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერული ხარჯები, აუდიტორული და იურიდიული მომსახურება და ა.შ.) საერთო თანხით **50 000** ლარი (დღგ-ის ჩათვლით). გაწეულ ხარჯებზე გამოწერილია შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები.

შენიშვნა: წინა წელს საზოგადოების შემოსავალი სულ შეადგინა **840 000** ლარი. მათ შორის:

ა) 18-%-თ დასაბეგრი ბრუნვა **500 000** ლარი:

აქედან, ა.ა) სატვირთო ავტომანქანის რეალიზაცია **100 000** ლარი;

ა.ბ) საწყობის შენობის რეალიზაცია **40 000** ლარი;

ბ) ჩათვლის უფლებით განხორციელებული ოპერაციები **200 000** ლარი;

გ) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა **140 000** ლარი.

- **განსაზღვრეთ დღგ-ის ჩათვლისადმი დაქვემდებარებული პროპორციის წილი და პროპორციული წესით ჩასათვლელი დღგ-ის თანხა.**

მაგალითები დეკლარაციის მე-12 და მე-13 უჯრის შევსებისათვის

12.1 იანვარში საზოგადოებამ შეიძინა **20 000** ლარის (დღგ-ის ჩათვლით) იმპორტირებული და **5 000** ლარის ადგილობრივი წარმოების ყველი, სულ **25 000** ლარის. აპრილში აღმოჩნდა, რომ შესყიდული

საქონლის ნაწილს გაუვიდა რეალიზაციის ვადა და მხარეთა შეთანხმებით, 20 აპრილს შეძენის ფასად **3 000** ლარის (დღგ-ის ჩათვლით) იმპორტირებული ყველი და **1 000** ლარის ადგილობრივი წარმოების ყველი დაუბრუნდა გამყიდველს, რაზეც მის მიერ გამოიწერა დღგ-ის კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის კორექტირების თანხა.**

13.1 2022 წლის **18** მარტს საზოგადოებამ შეიძინა **20,000** ლარის (დღგ-ს ჩათვლით) იმპორტირებული კვერცხი და **5,000** ლარის ადგილობრივი წარმოების ბადრიჯანი სულ **25,000** ლარის.

აპრილში დაზუსტდა მიწოდებული საქონელს სარეალიზაციო ფასი და მხარეთა შეთანხმებით, **2022** წლის **20** აპრილს **2,000** ლარით (დღგ-ის ჩათვლით) გაიზარდა იმპორტირებული კვერცხის, ხოლო **1,000** ლარით შემცირდა ადგილობრივი წარმოების ბადრიჯანის ღირებულება, რაზეც გამყიდველის მიერ გამოიწერა დღგ-ს კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ს კორექტირების თანხა.**

მაგალითები დეკლარაციის მე-14 (აღდგენის) უჯრის შევსებისათვის

14.1 2021 წლის 8 მარტს საზოგადოებამ შეიძინა **2 000** ლიტრი. საწვავი, თანხით **6 000** ლარი (დღგ-ის ჩათვლით) და მთლიანად განახორციელა დღგ-ის ჩათვლა. საწვავის ნაშთიდან აპრილის თვეში **500** ლიტრი საწვავი დაიხარჯა ქ. ზესტაფონში სასწავლო ცენტრის მსმენელების გადაყვანისათვის. ხოლო დანარჩენი საწვავი დაიხარჯა საერთო ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით აღსადგენი დღგ-ის თანხა.**

15. განსაზღვრეთ ოპერაციების შედეგები სამუშაო რვეულში, გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში და განსაზღვრეთ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადასახდელი/ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხა.